შპს ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესი ს/ნ: 212807550
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა
2020 წლის 31 დეკემბერს

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
მოგება–ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1.ზოგადი ინფორმაცია 4
2. მომზადების საფუძველი....4
3. სააღრიცხვო პოლიტიკა 5
3.1 ვალუტა....5
3.2 ძირითადი საშუალებები....6
3.3 მოგების გადასახადი....7
3.4 მარაგები 8
3.5 მოთხოვნები საქონლის მიწოდებიდან და მომსახურების გაწევიდან....10
3.6 მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები 10
3.7 ფული და ფულის ექვივალენტები 10
3.8 კაპიტალი 10
3.9 მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები 11
3.10 ბანკის სესხები და ოვერდრაფტები....11
3.11 ამონაგების აღიარება....11
3.12 ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები 12
3.13 რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება 12
3.14 დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები....13
3.15 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 13
3.16 კონლოსიდაციის საფუძველი 13
4. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები....20
5. განუსაზღვრელობის შეფასების ძირითადი წყაროები....20
6. ფული და ფულის ექვივალენტები 22
7.სავაჭრო და სხვა მოთხოვნები....22
8. გადახდილი ავანსები....23
9. მარაგები 23

10. სხვა მიმდინარე აქტივები 23
11. ძირითადი საშუალებები 23
12. სხვა გრძელვადიანი აქტივები 24
13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 25
14.დაქირავებულ პირთა გასამრჯელოების ვალდებულება 25
15.ანარიცხები 25
16.მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები 26
17.სასესხო ვალდებულებები 26
18.საგადასახადო ვალდებულებები 26
19.სხვა ვალდებულებები 27
20.საკუთარი კაპიტალი 27
21.შემოსავლები 27
22. ხარჯები 27
23. პირობითი ვალდებულებები 29
22. ბალანსის შედგენის შემდგომი მოვლენები 30
23. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება 31

შინაარსი:

შპს ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესი ს/ნ: 212807550

კონსოლიდირებული ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარებში)

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2020	31/12/2019	31/12/2018
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	216850	172168	83833
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1894179	1462160	1067064
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	8292	33357	1952
მარაგები	0	0	0
მზა პროდუქცია	0	0	0
სხვა	0	0	0
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	127554	37563	11614
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	58857	53499	33245
ძირითადი საშუალებები	2945860	1380027	1271633
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	6358	6246	6465
სულ აქტივები	5257950	3145020	2475806
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	63345	104668	61433
ანარიცხები	31659	12889	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	117609	134340	76782
საგადასახადო ვალდებულებები	209285	34505	22229
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	0	16696
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	4395703	569804	685808
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	250081	341231	203215
სულ ვალდებულებები	5067682	1197437	1066163
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო	2100	2100	2100

კაპიტალი')			
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	159786	1777740	1279954
გადაფასების რეზერვი	0	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	28382	167743	127589
სულ მშობელი საწარმოს მფლობელთათვის განკუთვნილი საკუთარი კაპიტალი	190268	1947583	1409643
არამაკონტროლებელი წილი (კონტროლის არმქონე ინვესტორთა ჯამური წილი)	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	190268	1947583	1409643
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	5257950	3145020	2475806
სულ მოკლევადიანი აქტივები	2246875	1705248	1164463
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	421897	286402	177140

დირექტორი ნინო ჩიკვაშვილი

კაპიტალი')			
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	159786	1777740	1279954
გადაფასების რეზერვი	0	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	28382	167743	127589
სულ მშობელი საწარმოს მფლობელთათვის განკუთვნილი საკუთარი კაპიტალი	190268	1947583	1409643
არამაკონტროლებელი წილი (კონტროლის არმქონე ინვესტორთა ჯამური წილი)	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	190268	1947583	1409643
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	5257950	3145020	2475806
სულ მოკლევადიანი აქტივები	2246875	1705248	1164463
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	421897	286402	177140

დირექტორი ნინო ჩიკვაშვილი

ნ. ჩიკვაშვილი

212807550

შპს ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესი ს/ნ: 212807550

კონსოლიდირებული ანგარიშგება საქმიანობის შედეგების შესახებ 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარებში)

საქმიანობის შედეგები	**31/12/2020**	**31/12/2019**
ნეტო ამონაგები	3868896	3320318
საქონლის გაყიდვიდან	0	0
მომსახურების გაწევიდან	3868896	3320318
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	0	0
გაყიდვების თვითღირებულება	0	0
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	3868896	3320318
სხვა საოპერაციო შემოსავალი	12000	12000
დასაქმებულთა ანაზღაურება	-2674117	-2004113
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-239547	-246725
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	-109861	-71057
იჯარის ხარჯი	-611929	-408586
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-396212	-462464
სულ საოპერაციო ხარჯები	-4019666	-3180945
საოპერაციო მოგება	-150770	139373
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	0	0
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	-311271	385412
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	-462041	524785
მოგების გადასახადის ხარჯი	-103837	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	-565878	524785
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		

ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-565878	524785
მოგება / (ზარალი) განკუთვნილი:		
მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთვნებელი მოგება (ზარალი)	-656677	408315
არამაკონტროლებელ წილებზე მისაკუთვნებელი მოგება (ზარალი)	90799	116470
მოგება / (ზარალი)	-565878	524785
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი) განკუთვნილი:		
მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთვნებელი მთლიანი შემოსავალი	-656677	408315
არამაკონტროლებელ წილებზე მისაკუთვნებელი მთლიანი შემოსავალი	90799	116470
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-565878	524785
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1947583	1409643
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-1052077	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-139360	13155
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	190268	1947583

დირექტორი ნინო ჩიკვაშვილი

ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-565878	524785
მოგება / (ზარალი) განკუთვნილი:		
მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთვნებელი მოგება (ზარალი)	-656677	408315
არამაკონტროლებელ წილებზე მისაკუთვნებელი მოგება (ზარალი)	90799	116470
მოგება / (ზარალი)	-565878	524785
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი) განკუთვნილი:		
მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთვნებელი მთლიანი შემოსავალი	-656677	408315
არამაკონტროლებელ წილებზე მისაკუთვნებელი მთლიანი შემოსავალი	90799	116470
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-565878	524785
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1947583	1409643
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-1052077	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-139360	13155
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	190268	1947583

დირექტორი ნინო ჩიკვაშვილი

1.ზოგადი ინფორმაცია

შპს „ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესი“ ს/ნ: 212807550 დაფუძნებულია და ქ. ქუთაისის სასამართლოს მიერ სამეწარმეო რეესტრში გადასახადის გადამხდელად რეგისტრირებულია 2002 წლის 05 აგვისტოს. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია 212807550.

კომპანიის პარტნიორები არიან შემდეგი პირები:

ნინო ჩიკვაშვილი, პ/ნ 60002000729 - 100%

კომპანიას თავის მხრივ ყავს შვილობილი საწარმოები. ესენი არიან:

შპს ამერიკული უმაღლესი საერთაშორისო სკოლა-კოლეჯი პროგრესი 405119394 - 50%;

შპს ქართულ-ამერიკული აკადემია პროგრესი 404597165 – 55%.

შპს „ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესი“-ს როგორც იურდიული ასევე საქმიანობის ფაქტიური მისამართია: საქართველო, ქ. ქუთაისი, დ. აღმაშენებლის გამზ. №20.

კომპანია წარმოადგენს კერძო სამართლის იურიდიულ პირს, რომლის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს ზოგადი საბაზო და საშუალო განათლება. იგი საკუთარ საქმიანობას აწარმოებს წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიას მართავს პარტნიორთა კრების მიერ დანიშნული აღმასრულებელი დირექტორი - ნათია კილაძე, პ/ნ 53001000505 და გენერალური დირექტორი - ნინო ჩიკვაშვილი, პ/ნ 60002000729.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად, რაც ასახავს კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკას მსს ფასს საფუძველზე (რომელიც გამოიყენება მსს ფასს 35-ე განყოფილების “მსს ფასს-ზე გადასვლა” ფარგლებში).

კომპანია ნათლად და უპირობოდ აცხადებს, რომ:

• მსს ფასს-ის პირველად გამოყენების თარიღი არის 2018 წლის 01 იანვარი;
• ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტმა გამოიყენა მსს ფასს, ფაქტებისა და გარემოებების საუკეთესო გამოცდილება, რაც ასევე გამოყენებულ იქნება მსს ფასს-ის შემდგომი პერიოდების ფინანსური ანგარიშგების პაკეტის მომზადებისას შესადარისი ინფორმაციის წარმოდგენით.

ანგარიშგების მომზადებისას სრული შემოსავლის ანგარიშგება დგება ხარჯების კლასიფიკაციით ფუნქციური დანიშნულების მიხედვით. შემოსავლებისა და ხარჯების (სამეურნეო ოპერაციების) აღიარება-ასახვა, მსს ფასს-ების შესაბამისად, ხდება ბუღალტრული აღრიცხვის დარიცხვის მეთოდით, ანუ მათი მოხდენისთანავე (და არა ფულადი სახსრებისა და მისი ეკვივალენტების მიღებისა და გადახდის დროს). ამასთან, ხარჯების აღიარებისას დაცულია მიმდინარე პერიოდის ამონაგებსა და დანახარჯებს შორის შესაბამისობის პრინციპი, ანუ მათი გატარება სათანადო ბუღალტრულ დოკუმენტებში და ასახვა ანგარიშგებაში ხდება შესაბამისი პერიოდებისათვის მიკუთვნებით.

ანგარიშგების საანგარიშო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს, 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით და წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულებში, ქართულ ლარში.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანია წარმოადგენს საწარმოთა ჯგუფის წევრს, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება კონსოლიდირებული ხასიათისაა და ეხება შპს „ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრეს“-ს ს/ნ: 212807550, შპს ამერიკული უმაღლესი საერთაშორისო სკოლა-კოლეჯი პროგრესი 405119394 - 50%; შპს ქართულ-ამერიკული აკადემია პროგრესი 404597165 – 55%.

3. სააღრიცხვო პოლიტიკა

3.1 ვალუტა

კომპანია ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფუნქციონალურ და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. აქედან გამომდინარე წინამდებარე ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივების და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში.

2020 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსები შემდეგია:

საქართველოს ეროვნილი ბანკის ოფიციალური კურსი	აშშ დოლარი	ევრო
2020 წლის 31 დეკემბერი	3.2766	4.0233
2020 წლის 1 იანვარი	2.8661	3.2143

ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი მონაცემები დამრგვალებულია 1 ლარამდე სიზუსტით.

3.2 ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითადი საშუალებების აღრიცხვას ახორციელებს მსს ფასს მე-17-ე განყოფილების "ძირითადი საშუალებების" შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, აგრეთვე აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან. რაც შეეხება მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს, ისინი აღირიცხება მათი გაწევისას პერიოდის ხარჯად.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს ძირითადი საშუალებების ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის მანძილზე. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობებს ცვეთა არ ერიცხება. აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

ჯგუფი	წლიური ცვეთის განაკვეთი (%)
შენობა -ნაგებობები	5
მანქანა-დანადგარები	10-20
სატრანსპორტო საშუალებები	10-20
ავეჯი და ოფისის მოწყობილობა	10-20
სხვა ძირითადი საშუალებები	20-50

აქტივების მომსახურების ვადის დადგენისას გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები:

- საწარმოს მიერ აქტივის მოსალოდნელი გამოყენების რეჟიმი;
- სავარაუდო ფიზიკური ცვეთა, რომლიც დამოკიდებულია სხვადასახვა საწარმოო ფაქტორებზე;
- ტექნიკური ან კომერციული მოძველება, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს კომპანიაში არსებული პროცესების მოსალოდნელი ცვლილებებით ან გაუმჯობესებით;
- აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები.

საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარება უნდა შეწყვიტოს მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან როდესაც გამოყენებიდან და გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი უნდა ასახოს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი აღიარება შეწყდა. საწარმომ ამ სახის შემოსულობას არ უნდა მიანიჭოს ამონაგების კლასიფიკაცია.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

კომპანიაში ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაცია ტარდება ყოველწლიურად.

3.3 მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილებები შეეხო მოგების გადასახადის გაანგარიშებისა და წარდგენის წესს. ამოქმედდა მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი წესი (ესტონური მოდელი), რომლის

შემოღების მიზანია გადასახადების ადმინისტრირების გამარტივება, ბიზნესის განვითარებისა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა.

ძირითად სიახლეს წარმოადგენს საწარმოთა მოგების დაბეგვრის გადავადება იმ დრომდე, სანამ არ მოხდება მოგების განაწილება, მაშინ, როცა ძველი მოდელის მიხედვით, კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. აღნიშნული გაზრდის კომპანიების წვდომას ფულად სახსრებზე და წაახალისებს მიღებული მოგების რეინვესტირებას იმავე ან ახალ საქმიანობაში.

მოგების გადასახადის 15 პროცენტიანი განაკვეთი უცვლელი რჩება, თუმცა, ტექნიკურად, გადასახადი გაანგარიშდება დასაბეგრი განაცემის თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. ამასთან, მოგების გადასახადით დაბეგვრა და გადახდა ყოველწლიური პრინციპის ნაცვლად, მოხდება ყოველთვიურად, არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა.

დაბეგვრის ახალი მოდელი ეხება ყველა საწარმოს, გარდა კომერციული ბანკებისა, სადაზღვევო და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, საკრედიტო კავშირებისა, ლომბარდებისა, "ნავთობისა და გაზის შესახებ" კანონით დადგენილი შესაბამისი საწარმოებისა და სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი ტოტალიზატორებისა.

მოგების გადასახადის ახალი მოდელის მიხედვით, დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს შემდეგი განაცემების ფაქტობრივად განხორციელება:

- დივიდენდის განაწილება;
- სხვაობები გარიგების ფასსა და საბაზრო ფასს შორის;
- ხარჯები, რომლებიც არ უკავშირდება ეკონომიკურ საქმიანობას;
- გადახდები, რომლებიც არ უკავშირდება ეკონომიკურ საქმიანობას;
- უსასყიდლო მიწოდება და ჩუქება;
- წარმომადგენლობითი ხარჯები ზღვრული ოდენობის ზემოთ.

აღნიშნული ცვლილებების გამო არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები ჯგუფის აქტივებსა და ვალდებულებებში 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად, არ არსებობს გადავადებული მოგების გადასახადის არც აქტივი და არც ვალდებულება.

3.4 მარაგები

მარაგი ისეთი აქტივია, რომელიც:

ა) გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში;
ბ) მონაწილეობს ამგვარი გაყიდვისათვის გამიზნული მარაგის წარმოების პროცესში;

გ) წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომელიც განკუთვნილია წარმოების პროცესში მოხმარებისათვის ან მომსახურების გასაწევად.

მარაგის შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარელიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის წმინდა თანხა, რომლის მიღებასაც საწარმო მოელის ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში მარაგის გაყიდვის შემდეგ.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს: მათ შეძენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს, აგრეთვე დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მისი მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

მარაგის თვითღირებულებაში არ ჩაირთვება შემდეგი დანახარჯები:
- ნედლეულისა და მასალების ზენორმატიული დანახარჯები;

- მარაგის შენახვის დანახარჯები, იმ დანახარჯების გარდა, რომელთა გაწევა აუცილებელია საწარმოო პროცესის ერთი სტადიიდან მომდევნო სტადიაზე გადასასვლელად;
- ზედნადები ადმინისტრაციული ხარჯები;
- გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები.

თვითღირებულების გაანგარიშებისთვის კომპანიას არჩეული აქვს საშუალო შეწონილის მეთოდი.

საწარმო ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს აფასებს გაუფასურებულია თუ არა მისი მარაგი, რაც ნიშნავს, რომ შეუძლებელია მათი საბალანსო ღირებულების სრულად ანაზღაურება (მაგალითად, ეს შეიძლება გამოწვეული იყოს მარაგის დაზიანებით, მისი მოძველებით ან გასაყიდი ფასების დაცემით). იმ შემთხვევაში, თუ მარაგი გაუფასურდა, საწარმო მარაგს აფასებს და აღიარებს შესაბამის გაუფასურების ზარალს.

როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება უნდა აღიარდეს იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

კომპანიაში მარაგების ინვენტარიაზაცია ტარდება ყოველი თვის ბოლოს და შესაბამისი ინვენტარიზაციის აქტის საფუძველზე ხდება მარაგების ჩამოწერა.

3.5 მოთხოვნები საქონლის მიწოდებიდან და მომსახურების გაწევიდან

გაყიდვები ხორციელდება როგორც ნაღდი ასევე უნაღდო ანგარიშსწორებით. მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება უნდა გადაისინჯოს, რათა განისაზღვროს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ მოთხოვნები არ არის ამოღებადი. იმ შემთხვევაში თუ ასეთი მტკიცებულება არსებობს, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

3.6 მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით. გადახდილი ავანსები აისახება მიმდინარედ, თუ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუ ავანსის მიღება შესაძლებელია დაკავშირებული იყოს არამიმდინარე აქტივთან, ავანსი აისახება გრძელვადიან აქტივებში და აქტივზე კომპანიის მხრიდან კონტროლის დამყარებისთანავე გადადის აქტივის საბალანსო ღირებულებაში. ამასთან უნდა არსებობდეს ალბათობა, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს; სხვა გადახდილი ავანსები ჩამოიწერება საქონლის ან მომსახურების მიღებისას.

3.7 ფული და ფულის ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულადი სახსრებს სალაროსა და საბანკო ანგარიშებზე.

3.8 კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი ფორმირდება საწესდებო კაპიტალისაგან, რომელიც განსაზღვრულია კომპანიის წესდებით, რომელშიც ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილებით და კომპანიის მიერ მიღებული მოგებით ან ზარალით.

დივიდენდების გატანისას გადაწყვეტილებას იღებს პარტნიორთა საერთო კრება. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე წარმოდგენილი უნდა იყოს ბალანსის შემდგომი მოვლენების ამსახველ მუხლში. შპს „ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრეს"-ს ს/ნ 212807550 2020 წელს გაცემული აქვს დივიდენდი დამფუძნებელზე.

3.9 მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და ვალდებულებებს არ ერიცხება პროცენტი. უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

3.10 ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

სავალო ინსტრუმენტები უნდა შეფასდეს ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. იმ შემთხვევევაში თუ სავალო ინსტრუმენტები კლასიფიცირებულია როგორც მოკლევადიანი, მაშინ იგი უნდა შეფასდეს გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლებისა და ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოთვლისას, საწარმომ სავალო ინსტრუმენტის სავარაუდო ვადის მიხედვით უნდა მოახდინოს ამ ინსტრუმენტთან დაკავშირებული ყველანაირი საზღაურის, გადახდილი ფინანსური ხარჯის ან მიღებული ფინანსური შემოსავლის ამორტიზება.

3.11 ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს მიეწოდება საქონელი და გადაეცემა საკუთრების უფლება. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობების, ასევე ვადაზე ადრე გადახდისა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობების გამოკლებით.

როდესაც ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების შემოსვლა საწარმოში გადავადებულია და შეთანხმება თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ანაზღაურების რეალური ღირებულება არის მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულება, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

ამონაგები არ აღიარდება, როდესაც საქონელი და მომსახურება იცვლება ანალოგიური ბუნებისა და ღირებულების მქონე საქონელსა და მომსახურებაზე ან საქონელი ან მომსახურება იცვლება სხვა სახის ან ღირებულების საქონელზე ან მომსახურებაზე, მაგრამ ოპერაციას არ გააჩნია კომერციული შინაარსი.

კომპანია საქონლის გაყიდვიდან (მომსახურების გაწევიდან) მიღებული ამონაგების აღიარებას ახორციელებს მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა (ბოლო სამი ვრცელდება მომსახურების გაწევიდან მისაღებ ამონაგებზე):

- კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს;
- კომპანია არ ინაჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;
- შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა;
- მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს: და შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.
  შემოსავლის აღიარება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული რეალიზაციასთან დაკავშირებული, დაბრუნებადი გადასახადების გარეშე.

3.12 ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველა დახარჯი აღიარდება იმ პერიდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი გაწეულ იქნა.

3.13 რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

კომპანიის რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება შედგება წარმოებაზე გაწეული ხარჯებისაგან (ნედლეული და მასალები, შრომის ანაზღაურება და სხვა), ხარჯები (ნედლეული და მასალები), რომლებიც პირდაპირ არის დაკავშირებული, თვითღირებულებაში აისახება გამოყენებისთანავე, ხოლო სხვა ტიპის ხარჯები, ხარჯების გაწევის პერიოდის შესაბამისად.

3.14 დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები გულისხმობს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას, დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოებად (შრომის ანაზღაურება და წლიური ბონუსები) ითვლება ის გასამრჯელოები, რომლებიც მთლიანად უნდა იქნეს გადახდილი იმ საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში, როდესაც დაქირავებულმა პირმა მომსახურება გასწია. საწარმომ დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი უნდა აღიაროს, როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი. (თვითღირებულების ნაწილი, თუ იგი ჩასართველია თვითღირებულების გაანგარიშებაში).

3.15 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს პერსონალის, იჯარის, კომუნალურ, სამეურნეო და იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც აუცილებელია კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

3.16 კონლოსიდაციის საფუძველი

შვილობილი კომპანიები არის ის ორგანიზაციები, რომლებიც კონტროლდება ჯგუფის მიერ. კონტროლი ხორციელდება, როდესაც ჯგუფს აქვს უფლებამოსილება, პირდაპირ ან ირიბად მართოს ორგანიზაციის ფინანსური და საოპერაციო პოლიტიკა,

ისე რომ მიიღოს სარგებელი მისი საქმიანობიდან. შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგებები შეტანილია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კონტროლის დაწყების დღიდან.

ჯგუფის მიერ შვილობილი კომპანიის შესყიდვის აღრიცხვისათვის გამოიყენება შესყიდვის მეთოდი. შესყიდული იდენტიფიცირებული აქტივები, ვალდებულებები და პირობითი ვალდებულებები თავდაპირველად აღირიცხება შესყიდვის დღისთვის მათი სამართლიანი ღირებულებით, უმცირესების წილის მოცულობის მიუხედავად. ის ნამეტი ღირებულება, რომლითაც შეძენისას გადახდილი თანხა (ან სხვა სახის ანაზღაურება) აღემატება შეძენილი იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების იმ სამართლიან ღირებულებას, რომელიც მათ ჰქონდათ შესყიდვის მომენტში, აღიარდება კონსოლიდირებულ ბალანსში, როგორც გუდვილი. შეძენილი იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების სამართლიანი ღირებულება არის სხვაობა შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივების სამართლიან ღირებულებასა და შეძენილი იდენტიფიცირებადი ვალდებულებების, პირობითი ვალდებულებების ჩათვლით, სამართლიან ღირებულებას შორის შესყიდვის მომენტისათვის. თუ შეძენისას გადახდილი საფასური ნაკლებია შეძენილი კომპანიის წმინდა აქტივები სამართლიან ღირებულებაზე, სხვაობის აღიარება ხდება კონსოლიდირებული მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

წილი შვილობილ კომპანიებში, რომელსაც არ ფლობს ჯგუფი წარმოადგენს უმცირესობის წილს. უმცირესობის წილი ანგარიშგების თარიღისათვის წარმოადგენს უმცირესობაში მყოფ აქციონერთა წილს შვილობილი კომპანიის იდენტიფიცირებადი ნეტო აქტივების სამართლიან ღირებულებაში, შესყიდვის დღისათვის, რასაც ემატება მათი წილი კაპიტალის ცვლილებაში შესყიდვის დღის შემდეგ. უმცირესობის წილი წარმოდგენილია კაპიტალში.

ზარალი, რომელიც განაწილებულია უმცირესობის წილზე არ აღემატება უმცირესობის წილს შვილობილი კომპანიის კაპიტალში, თუ უმცირესობის წილის მფლობელებს არა აქვთ ზარალის გადაფარვასთან დაკავშირებული სხვა ვალდებულება. ყველა ასეთი ზარალი ნაწილდება ჯგუფზე.

კონსოლიდაციასთან დაკავშირებით ელიმინირების ტრანზაქციები

შიდა ჯგუფური ბალანსები და ტრანზაქციები, ნებისმიერი არარეალიზებული მოგება და ზარალი, რომელიც წარმოიქმნება შიდა ჯგუფური ტრანზაქციიდან ელიმინირებულია (გაქვითულია).

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოქმედების სფერო

უფლებამოსილება

ინვესტორს მაშინ გააჩნია უფლებამოსილება ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით, როდესაც აქვს მოქმედი (ძალაში შესული) უფლებები, რომლებიც მას მიმდინარე მომენტში რელევანტური საქმიანობების (ე.ი. საქმიანობები, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინვესტირებული საწარმოს შემოსავლებზე) მართვის შესაძლებლობას აძლევს.

უფლებამოსილება წარმოიშობა უფლებებიდან. ზოგჯერ მარტივია უფლებამოსილების დადგენა, მაგალითად, როდესაც ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით უფლებამოსილების მოპოვება ხდება პირდაპირ და მხოლოდ და მხოლოდ წილობრივი ინსტრუმენტებით მინიჭებული ხმის უფლებებით, როგორიცაა აქციები და მისი არსებობის დადგენა (შეფასება) შესაძლებელია აქციების ფლობით განპირობებული ხმის უფლებებით. სხვა შემთხვევაში, შეიძლება უფრო რთული იყოს უფლებამოსილების დადგენა და საჭირო გახდეს რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინება, მაგალითად, როდესაც უფლებამოსილება წარმოიქმნება ერთი ან რამდენიმე სახელშეკრულებო შეთანხმებიდან. ინვესტორს, რომელსაც გააჩნია მიმდინარე მომენტში რელევანტური საქმიანობების მართვის შესაძლებლობა, უფლებამოსილება მაშინაც კი აქვს, თუ ჯერ არ მომხდარა მისთვის მინიჭებული მართვის უფლებების რეალიზება. მტკიცებულება იმისა, რომ ინვესტორს განხორციელებული აქვს რელევანტური საქმიანობების მართვა, შეიძლება ინვესტორს დაეხმაროს იმის დადგენაში, გააჩნია თუ არა მას უფლებამოსილება, მაგრამ მხოლოდ ამგვარი მტკიცებულების არსებობა, თავისთავად, გადამწყვეტი არ არის იმის დასადგენად, აქვს თუ არა ინვესტორს უფლებამოსილება ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით. თუ ორ ან რამდენიმე ინვესტორს, თითოეულს აქვს ძალაში შესული უფლებები, რომლებიც მას სხვადასხვა რელევანტური საქმიანობის ცალმხრივად მართვის შესაძლებლობას აძლევს, მაშინ ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით იმ ინვესტორს გააჩნია უფლებამოსილება, რომელსაც აქვს მიმდინარე მომენტში იმის შესაძლებლობა, რომ მართოს ისეთი საქმიანობები, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინვესტირებული საწარმოს შემოსავლებზე. ინვესტორს ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით უფლებამოსილება შეიძლება იმ შემთხვევაშიც გააჩნდეს, თუ სხვა საწარმოებს აქვთ ძალაში შესული უფლებები, რომლებიც მათ მიმდინარე მომენტში რელევანტური საქმიანობების მართვაში

მონაწილეობის მიღების შესაძლებლობას აძლევს, მაგალითად, როდესაც სხვა საწარმოს გააჩნია მნიშვნელოვანი გავლენა. თუმცა, ინვესტორს, რომელსაც მხოლოდ დამცავი უფლებები აქვს, არ გააჩნია უფლებამოსილება ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით და, მაშასადამე, ის არ აკონტროლებს ინვესტირებულ საწარმოს. ინვესტორი მაშინ ექვემდებარება რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია ინვესტირებულ საწარმოში მისი მონაწილეობიდან ცვალებადი შემოსავლების მიღებასთან, ან გააჩნია ინვესტირებული საწარმოდან ცვალებადი შემოსავლების მიღების უფლება, თუ მისი მონაწილეობით განპირობებული შემოსავლები შეიძლება იცვლებოდეს ინვესტირებული საწარმოს საქმიანობის შედეგების მიხედვით. ინვესტორის შემოსავლები შეიძლება იყოს მხოლოდ დადებითი, მხოლოდ უარყოფითი, ან როგორც დადებითი, ისე უარყოფითი. მართალია, მხოლოდ ერთ ინვესტორს შეუძლია ინვესტირებულ საწარმოზე კონტროლის განხორციელება, მაგრამ ინვესტირებული საწარმოს შემოსავლებს შეიძლება რამდენიმე მხარე იყოფდეს. მაგალითად, არამაკონტროლებელი წილის მფლობელებს შეუძლიათ მონაწილეობა მოგებაში, ან ინვესტირებული საწარმოს მიერ განხორციელებულ განაწილებებში. ინვესტორმა, მიუხედავად მისი მონაწილეობის ხასიათისა ამა თუ იმ საწარმოში (ინვესტირებული საწარმო), უნდა დაადგინოს, წარმოადგენს თუ არა ის მშობელ საწარმოს, რისთვისაც უნდა შეაფასოს, აკონტროლებს თუ არა ის ინვესტირებულ საწარმოს. ინვესტორი იმ შემთხვევაში აკონტროლებს ინვესტირებულ საწარმოს, როდესაც ის ექვემდებარება რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია ინვესტირებულ საწარმოში მისი მონაწილეობიდან ცვალებადი შემოსავლების მიღებასთან, ან გააჩნია ინვესტირებული საწარმოდან ცვალებადი შემოსავლების მიღების უფლება და ასევე ამ შემოსავალზე ზემოქმედების შესაძლებლობა, ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით თავისი უფლებამოსილების მეშვეობით.

ინვესტორი მხოლოდ და მხოლოდ მაშინ აკონტროლებს ინვესტირებულ საწარმოს,

თუ ინვესტორს გააჩნია ყველაფერი ქვემოთ ჩამოთვლილი:

ა) უფლებამოსილება ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით;

ბ) ექვემდებარება რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია ინვესტირებულ საწარმოში მისი მონაწილეობიდან ცვალებადი შემოსავლების მიღებასთან, ან გააჩნია ინვესტირებული საწარმოდან ცვალებადი შემოსავლების მიღების უფლება და

გ) შესაძლებლობა იმისა, რომ ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით

მინიჭებული უფლებამოსილება გამოიყენოს თავისი შემოსავლების ოდენობაზე გავლენის მოხდენის მიზნით.

არამაკონტროლებელი წილი

საწარმომ მოგება, ან ზარალი და `სხვა სრული შემოსავლის - თითოეული კომპონენტი უნდა გაანაწილოს მშობელ საწარმოსა და არამაკონტროლებელ წილზე. ანალოგიურად, საწარმომ მშობელ საწარმოსა და არამაკონტროლებელ წილზე უნდა გაანაწილოს მთლიანი სრული შემოსავალიც, თუნდაც ამან გამოიწვიოს არამაკონტროლებელი წილის უარყოფითი ნაშთი.

გუდვილი

გუდვილი (ბასს 38) მოიცავს მითითებებს მყიდველი საწარმოს იდენტიფიცირების, საწარმოთა გაერთიანების ღირებულების განსაზღვრისა და ამ ღირებულების განაწილების წესის შესახებ შეძენილ აქტივებსა და ვალდებულებებზე, ასევე პირობითი ვალდებულებების ანარიცხებზე;

სტრუქტურულად საწარმოთა გაერთიანება შესაძლებელია ჩამოყალიბდეს სხვადასხვა ფორმით, იურიდიული, საგადასახადო ან სხვა ფაქტორების გათვალისწინებით. ეს შეიძლება იყოს ერთი საწარმოს მიერ მეორის საკუთარი კაპიტალის შესყიდვა, ერთი საწარმოს მიერ მეორის ყველა წმინდა აქტივის შეძენა, ერთი საწარმოს მიერ მეორის ვალდებულებების თავის თავზე აღება, ან ერთი საწარმოს მიერ მეორის ზოგიერთი წმინდა აქტივების შეძენა, რომლებიც ერთობლიობაში წარმოადგენს ერთ ან რამდენიმე სამეურნეო ერთეულს (ბიზნესს). საწარმოთა გაერთიანება შესაძლებელია განხორციელდეს წილობრივი ინსტრუმენტების გამოშვების, ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების, ან სხვა აქტივების გადაცემის, ან ზემოაღნიშნული მეთოდების კომბინირებულად გამოყენების მეშვეობით. ოპერაციაში შესაძლებელია მონაწილეობდნენ გასაერთიანებელი საწარმოების აქციონერები, ან ერთი საწარმო და მეორე საწარმოს აქციონერები. საწარმოთა გაერთიანება შეიძლება მოიცავდეს ახალი საწარმოს დაფუძნებას გაერთიანებულ საწარმოებზე ან გადაცემულ წმინდა აქტივებზე კონტროლის განხორციელების მიზნით, ან ერთი ან მეტი გასაერთიანებელი საწარმოს (ერთეულის) რესტრუქტურიზაციას. საწარმომ ნებისმიერი საწარმოთა გაერთიანება უნდა ასახოს შეძენის მეთოდით.

შეძენის მეთოდის გამოყენება საჭიროებს:

(ა) მყიდველი საწარმოს იდენტიფიკაციას;

(ბ) საწარმოთა გაერთიანების ღირებულების განსაზღვრას;

(გ) შეძენის თარიღისათვის საწარმოთა გაერთიანების ღირებულების გადანაწილებას შეძენილ აქტივებზე, აღებულ ვალდებულებებსა და პირობით ვალდებულებებზე.

მყიდველი საწარმოს იდენტიფიკაცია

საწარმოთა ყოველი გაერთიანებისთვის აუცილებელია მყიდველი საწარმოს დადგენა. მყიდველი არის ის საწარმო, რომელიც მოიპოვებს კონტროლს სხვა საწარმოზე ან სამეურნეო ერთეულზე იმის დასადგენად, როდის მოიპოვა მყიდველმა საწარმომ კონტროლი, აუცილებელია საწარმოთა გაერთიანების თანმდევი ყველა შესაფერისი ფაქტისა და გარემოების გათვალისწინება. მყიდველი საწარმო განცალკევებით აღიარებს შეძენილი საწარმოს მხოლოდ იმ იდენტიფიცირებად აქტივებს, ვალდებულებებსა და პირობით ვალდებულებებს, რომლებიც არსებობს შეძენის თარიღისათვის და აკმაყოფილებს აღიარების კრიტერიუმებს. მაშასადამე: (ა) მყიდველმა საწარმომ შეძენილი საწარმოს საქმიანობის შემცირებასთან ან მთლიანად შეწყვეტასთან დაკავშირებული ვალდებულებები საწარმოთა გაერთიანების ღირებულების განაწილების მიზნით მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა აღიაროს, თუ შეძენილ საწარმოს შეძენის თარიღისთვის აღიარებული აქვს რესტრუქტურიზაციასთან დაკავშირებული ვალდებულება, და (ბ) მყიდველმა საწარმომ საწარმოთა გაერთიანების ღირებულების განაწილებისას არ უნდა აღიაროს ვალდებულებები.

გუდვილი

<u>მყიდველმა საწარმომ შეძენის თარიღით:</u>

(ა) უნდა აღიაროს საწარმოთა გაერთიანების შედეგად შეძენილი გუდვილი აქტივად;

და

(ბ) თავდაპირველად გუდვილი შეაფასოს თვითღირებულებით, რაც იქნება

საწარმოთა გაერთიანების ღირებულების მეტობის თანხა მყიდველი საწარმოს წილზე იმ იდენტიფიცირებადი აქტივების, ვალდებულებებისა და პირობითი ვალდებულებების წმინდა რეალურ ღირებულებაში.

თავდაპირველი აღიარების შემდგომ, მყიდველმა საწარმომ საწარმოთა გაერთიანებისას შეძენილი გუდვილი უნდა ასახოს თვითღირებულებიდან

დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით:

(ა) გუდვილის ამორტიზაცია

თუ შეუძლებელია გუდვილის სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ

განსაზღვრა, იგი უნდა განისაზღვროს ხელმძღვანელობის საუკეთესო შეფასების საფუძველზე, მაგრამ ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს **10** წელს;

(ბ) გუდვილის გაუფასურების აღიარებასა და შეფასებასთან დაკავშირებით საწარმომ უნდა იხელმძღვანელოს **- ,,**აქტივების გაუფასურება**'' -** მოთხოვნებით.

გუდვილის ცალკე გაყიდვა შესაძლებელი არ არის. გუდვილი სხვა აქტივებისაგან დამოუკიდებლად არ წარმოშობს საწარმოს ფულად ნაკადებს. ამის გამო, გუდვილის რეალური ღირებულების პირდაპირი შეფასება შეუძლებელია. მაშასადამე, გუდვილის რეალური ღირებულება უნდა განისაზღვროს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულ(ებ)ის რეალური ღირებულების მიხედვით, რომლის შემადგენელ ნაწილიცაა გუდვილი.

<u>გუდვილის გაუფასურების ტესტირების მიზნით, საწარმოთა გაერთიანებისას შეძენილი გუდვილი, შეძენის თარიღიდან დაწყებული, განაწილდება მყიდველი საწარმოს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელ ყველა ერთეულზე, რომლებიც მოსალოდნელია, რომ სარგებელს მიიღებენ გაერთიანებით განპირობებული სინერგიიდან, მიუხედავად იმისა, შეძენილი საწარმოს სხვა აქტივები და ვალდებულებები მიკუთვნებულია თუ არა ამ ერთეულებზე.</u>

თუ შეუძლებელია დასაბუთებული საფუძვლით გუდვილის მიკუთვნება ცალკეულ ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებზე (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულების ჯგუფებზე), მაშინ გუდვილის გაუფასურების ტესტირების მიზნით, საწარმომ უნდა განსაზღვროს ან:

(ა) მთელი შეძენილი საწარმოს ანაზღაურებადი ღირებულება, თუ გუდვილი მიეკუთვნება შეძენილ საწარმოს, რომლის ინტეგრირება არ მომხდარა (ინტეგრირება გულისხმობს შეძენილი საწარმოს რესტრუქტურიზაციას, ან მის დანაწევრებას და გაერთიანებას ანგარიშვალდებულ ან სხვა შვილობილ საწარმოებში); ან

(ბ) საწარმოთა მთელი ჯგუფის ანაზღაურებადი ღირებულება, გარდა იმ

საწარმოებისა, რომელთა ინტეგრირებაც არ მომხდარა, თუ გუდვილი მიეკუთვნება საწარმოს, რომლის ინტეგრირებაც განხორციელდა.

საწარმომ გუდვილი უნდა დაყოს ნაწილებად: გუდვილი, რომელიც დაკავშირებულია ინტეგრირებულ საწარმოებთან და გუდვილი, რომელიც დაკავშირებულია იმ საწარმოებთან, რომელთა ინტეგრირებაც არ მომხდარა. ამასთან, საწარმომ უნდა გაითვალისწინოს ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების შესახებ ამ განყოფილებაში მოცემული მოთხოვნები, როდესაც ანგარიშობს შეძენილი საწარმოს, ან საწარმოთა ჯგუფის აქტივების ანაზღაურებად ღირებულებას და მათში შემავალ აქტივებზე ანაწილებს გაუფასურების ზარალსა და მისი აღდგენის (კომპენსირების)თანხებს.

4. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს ძირითადი სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი. მენეჯმენტმა ფინანსური ანგარიშგება მოამზადა როგორც მოქმედმა საწარმომ, რაც ნიშნავს, რომ ხელმძღვანელობას განზრახული არა აქვს საწარმოს ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა და არც იძულებული არ არის, ასე რომ მოიქცეს. კომპანიას შეუძლია მიმდინარე აქტივების რეალიზაციით დაფაროს მიმდინარე ვალდებულებები. ამ შეფასების გამოყენებისას, მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები, ფინანსურ რესურსებზე წვდომა და გააანალიზა არსებული ეკონომიკური გარემო, რომელშიც მას უწევს ოპერირება.

5. განუსაზღვრელობის შეფასების ძირითადი წყაროები

დაბეგვრა

ქართული საგადასახადო კანონმდებლობა შეიძლება დაექვემდებაროს სხვადასხვა ინტერპრეტაციებს და შეიძლება მან ცვლილებები განიცადოს. ამასთან, საგადასახადო კანონმდებლობის ხელმძღვანელობისეული ინტერპრეტაცია შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისგან, რის გამო კომპანიას შეიძლება დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტის თანხა დაეკისროს. კომპანიას დარწმუნებულია, რომ მან უკვე გადაიხადა ყველა გადასახადი, ამიტომ ფინანსურ ანგარიშგებაში ანარიცხი არ შეუქმნია. საგადასახადო წელი საგადასახადო ორგანოს მიერ ინსპექტირებისთვის ღიად რჩება მომდევნო სამი კალენდარული წლის განმავლობაში.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებაზე თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან შემოსავლის მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. ამ შეფასების ცვლილებამ შეიძლება განაპირობოს სამომავლო ცვეთის განაკვეთების შესწორება, რამაც თავის მხრივ შესაძლოა არსებითი ცვლილებები გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

რისკების მართვა

თავისი საქმიანობის პროცესში საზოგადოება ექვემდებარება ფინანსური რისკის სხვადასხვა ფაქტორებს, უცხოური ვალუტის კურსის, საპროცენტო განაკვეთების ცვლილების ზეგავლენის, საკრედიტო ხელშეკრულებების პირობების დაუცველობის, გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის რისკის ჩათვლით.

ინფლაცია და სავალუტო კურსი.

საზოგადოება ექვემდებარება სავალუტო რისკს შესყიდვებსა და კრედიტებთან დაკავშირებით, რომლებიც გამოხატულია ლარისაგან განსხვავებულ ვალუტაში. საზოგადოება არ ახორციელებს კომპანიის სავალუტო რისკისადმი დაქვემდებარების დაზღვევას. ქვემოთ მოცემულია ლარის კურსის დინამიკა აშშ დოლარის მიმართ საანგარიშო პერიოდის ბოლოს:

საპროცენტო განაკვეთების ცვლილებასთან დაკავშირებული რისკები.

შემოსავალი და საოპერაციო ნაღდი ფულადი სახსრების მოძრაობა, არსებითად, არ არის დამოკიდებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილებებზე. საწარმო ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რისკს საპროცენტო განაკვეთის მქონე გრძელვადიანი კრედიტების საბაზრო ღირებულების მერყეობის გამო.

საკრედიტო ხელშეკრულებების პირობებთან დაკავშირებული რისკები.

საწარმოს ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საკრედიტო ხელშეკრულებების პირობების დარღვევის რისკი მომავალში ნაკლებად სავარაუდოა. თუ მოსალოდნელია ასეთი ფაქტი, საწარმო შეეცდება მოახდინოს სესხის რესტრუქტურიზაცია.

<u>გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის დაკარგვასთან დაკავშირებული რისკები.</u>
გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის დაკარგვის რისკის ძირითად ფაქტორს, რომელიც ზეგავლენას ახდენს საწარმოს ლიკვიდურობაზე წარმოადგენს გარე კრედიტორების, მეწილეების და სხვა კონტრაგენტების წინაშე კომპანიის მიერ თავისი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობის არარსებობა. საბრუნავი კაპიტალის დეფიციტი იწვევს საოპერაციო ხარჯების ზრდას და საზოგადოების საოპერაციო მოგების შემცირებას.

<u>სამართლებრივი რისკები.</u>
სამართლებრივი რისკები შეიძლება წარმოიქმნას საგადასახადო სფეროში, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობაში სახელმწიფო რეგულირების ცვლილების შედეგად.

6. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2020 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2020	31.12.2019	31.12.2018
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	557	396	141
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	216,293	171,771	83,692
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	0	0	0
	216,850	**172,168**	**83,833**

7.სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2020 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2020	31.12.2019	31.12.2018
სავაჭრო მოთხოვნები	1,894,179	1,462,160	1,067,064
	1,894,179	**1,462,160**	**1,067,064**

8. გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები 2020 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2020	31.12.2019	31.12.2018
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	8,292	33,357	1,952
	8,292	**33,357**	**1,952**

9. მარაგები

მარაგები 2020 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2020	31.12.2019	31.12.2018
მზა პროდუქცია	0	0	0
ნედლეული და მასალები	0	0	0
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	0	0	0
	0	**0**	**0**

10. სხვა მიმდინარე აქტივები

სხვა მიმდინარე აქტივები 2020 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2020	31.12.2019	31.12.2018
სხვა მიმდინარე აქტივები	127,554	37,563	11,614
	127,554	**37,563**	**11,614**

11. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2020 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობა ნაგებობა	მანქანა-დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	არამატ. აქტივები	სხვა ძირითადი საშუალება	ს უ ლ
01-01-20	0	953,484	68,773	183,058	60,215	986,995	2,252,525
შემოსვლა	1,651,860	0	22,080	0	8,220	137,128	1,819,287
გასვლა	0	0	0	0	0	0	0
31-12-20	1,651,860	953,484	90,853	183,058	68,434	1,124,123	4,071,812
დაგროვილი ცვეთა							–
01-01-20	0	(271,717)	(32,311)	(114,302)	(6,716)	(393,954)	(818,999)
პერიოდის ცვეთა	0	(30,603)	(14,338)	(11,321)	(2,862)	(188,972)	(248,097)
გასვლა	0	0	0	0	0	0	0
31-12-20	0	(302,320)	(46,649)	(125,622)	(9,577)	(582,927)	(1,067,095)
წმინდა საბალანსო ღირებულება							–
01-01-20	0	681,767	36,463	68,756	53,499	593,041	1,433,526
31-12-20	1,651,860	651,163	44,204	57,436	58,857	541,197	3,004,717

12. სხვა გრძელვადიანი აქტივები

სხვა გრძელვადიანი აქტივები 2020 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2020	31.12.2019	31.12.2018
გაცემული სესხ(ებ)ის ძირითადი თანხა	6,357	6,246	6,466
	6,357	6,246	6,466

13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2020 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2020	31.12.2019	31.12.2018
სავაჭრო ვალდებულებები	63,345	104,668	61,433
	63,345	104,668	61,433

14.დაქირავებულ პირთა გასამრჯელოების ვალდებულება

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოების ვალდებულება 2020 წლის 31 დეკემბერს და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2020	31.12.2019	31.12.2018
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	117,609	134,340	76,782
	117,609	134,340	76,782

15.ანარიცხები

ანარიცხები 2020 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2020	31.12.2019	31.12.2018
ანარიცხები	31,659	12,889	0
	31,659	12,889	0

16.მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები

მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები 2020 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2020	31.12.2019	31.12.2018
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები	0	0	16,696
	0	0	16,696

17.სასესხო ვალდებულებები

სასესხო ვალდებულებები 2020 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2020	31.12.2019	31.12.2018
სასესხო ვალდებულებები	4,395,703	569,804	685,808
	4,395,703	569,804	685,808

18.საგადასახადო ვალდებულებები

საგადასახადო ვალდებულებები 2020 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2020	31.12.2019	31.12.2018
საგადასახადო ვალდებულებები	209,285	34,505	22,229
	209,285	34,505	22,229

19.სხვა ვალდებულებები

სხვა ვალდებულებები 2020 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2020	31.12.2019	31.12.2018
სხვა ვალდებულებები	250,081	341,231	203,215
	250,081	**341,231**	**203,215**

20.საკუთარი კაპიტალი

საკუთარი კაპიტალი 2020 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2020	31.12.2019	31.12.2018
სააქციო კაპიტალი (შპს–ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	2,100	2,100	2,100
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	28,382	167,743	127,589
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	159,786	1,777,740	1,279,954
	190,268	**1,947,583**	**1,409,643**

21.შემოსავლები

კომპანიის კონსოლიდირებულმა შემოსავლებმა 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 3868896 ლარი, რომელიც მიღებულია მომსახურების გაწევიდან.

22. ხარჯები

კონსოლიდირებული 2020 წლის ადმინისტრაციული ხარჯები წარმოდგენილია შემდეგი კატეგორიების მიხედვით:

ხარჯის გატეგორია	

სხვა საოპერაციო ხარჯები	18776.12
რეკლამის ხარჯები	38544.16
სოციალური დანარიცხები	41296.4
კომუნიკაციის ხარჯები	10898.56
დაზღვევა	1800.2
ავტო მანქან ებ ის მიმდინარე რემონტის ხარჯი	473
საწვავის ხარჯი	4701.64
ქონების მიმდინარე რემონტის ხარჯი	9421.44
კომპიუტერის ხარჯები	1581.75
საკონსულტაციო ხარჯები	17288.43
სხვა საგადასახადო ხარჯი	4006
სხვადასხვა ხარჯი	43405.27
ხარჯი საბანკო ოპერაციებზე	22492.11
დასუფთავების ხარჯი	7281.35
საკანცელარიო ხარჯი	2347.1
სამედიცინო ნივთები და მედიკამენტები	2517.94
ელექტორნული პროგრამების მომსახურების ხარჯი	6644
კომუნალური ხარჯი ბუნ აირი	12739.55
კომუნალური ხარჯი ელ ენერგია	8368.32
კომუნალური ხარჯი წყალი კანალიზაცია	5040.12
დაცვის ხარჯი	960
საფოსტო გზავნილების ხარჯი	423.6
კვებაზე გაწეული ხარჯი	12418
ერჯერადად დაბეგრილი შრომის ანაზღაურება	10282.13
გაზი	9927.84
კომუნიკაციის და ინტერნეტის ხარჯები	9087.46
ჩიკვაშვილი ნინო	8928.58
საადვოკატო მომსახურეობის ხარჯი	7812.5
საკანცელარიო ხარჯები	6853.87
სასკოლო ავტოვუბუსის ხარჯი	5929
ავტორიზაციის ხარჯები	5114
ბოლქვაძე რუსუდანი	5000
ბოლქვაძე ნონა	5000
ბოჭოიძე ლელა	5000

თანამშრომელთა კორპორაციული დაზღვევა	4757.99
მიმდინარე რემონტი	3820.62
ინტერნეტის ინსტალაციის ხარჯი	3820
წარმომადგენლობითი ხარჯი	3207.5
ჭუმბურიძე კახაბერი	3188.79
ჭუმბურიძე ნატალია	3188.79
ქონების ხარჯი	2791.09
აუდიტორიული მომსახურება	2400
ჰიგიენა და დასუფთავების ხარჯები	2376.4
ელექტროენერგია	2270.94
სადეზინფექციო ხარჯები	2062.4
ელექტრონული ჟურნალი	2000
წყალმომარაგება	1679.88
შენობის აზომვითი გეგმა	1483.04
ბანკის მომსახურეობის საკომისიო	1268.8
სამეურნეო ხარჯები	898.75
მინმდინარე რერმონტი	717.78
ტრენინგი თანამშრომლების	487
სასკოლო ავტობუსის დაზღვევა	320.1
ხანძარ საწინააღმდეგო ხარჯები	225
დასუფთავება	202
სამედიცინო პუნქტის ხარჯი	189.39
ქსეროქსის ხარჯი	180
საჯარო რეესტრის ხარჯები	122.5
საფოსტო გზავნილების ხარჯი	118.8
ინტერნეტ გვერდით სარგებლობის ხარჯი	74
ჯამი	**396212**

23. პირობითი ვალდებულებები

საოპერაციო გარემო

საქართველოს ბაზარზე ოპერირება, როგორც სხვა განვითარებადი ქვეყნების ბაზრები, წარმოშობს დამატებით რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია სოციალური და ეკონომიკური გარემოს სწრაფ ცვალებადობასთან. ამასთან ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილი იურიდიული

და საკანონმდებლო გარემო და ექვემდებარება სწრაფ ცვლილებებს. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ განვითარებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მთავრობის მიერ გატარებული ეკონომიკური, მონეტარული და ფისკალური პოლიტიკა არსებულ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებთან ერთად.

გადასახადები

საქართველოს საგადასახადო სისტემა ხასიათდება სწრაფი ცვლილებებით, რაც ძირითადად განმარტებების ცვლილებებთან არის დაკავშირებული. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაეკისროს დამატებითი საგადასახადო ვალდებულებები. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

კომპანიას მიაჩნია, რომ ყველა გადასახადი წარდგენილი და გადახდილი აქვს მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად და არანაირ ანარიცხს არ წარადგენს ფინანსურ ანგარიშგებაში, თუმცა შესაძლებელია საგადასახადო ორგანოებმა ზოგიერთ საკითხებზე გააკეთონ განსხვავებული განმარტებები საკითხების გლობალური განხილვის შედეგად, რასაც შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა კომპანიის ფინანსურ შედეგზე.

გარემოს

დაცვა

მენეჯმენტის აზრით, კომპანიის საქმიანობა შეესაბამება სახელმწიფოს მოთხოვნებს გარემოს დაცვის საკითხებში. აქედან გამომდინარე მიიჩნევს, რომ კომპანიას რაიმე ვალდებულება გარემოსდაცვით რეგულაციებთან მიმართებაში არ გააჩნია. კომპანია მომავალშიც მუდმივად განახორციელებს მონიტორინგს ამ კუთხით კანონმდებლობაში განხორციელებულ ცვლილებებზე.

სასამართლო

დავები

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია ისეთი ტიპის სასამართლო დავები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს კომპანიისთვის მატერიალური ზიანის წარმოქმნა. შესაბამისად კომპანიის მენეჯმენტს სასამართლო დავებთან დაკავშირებით ანარიცხი არ შეუქმნია.

22. ბალანსის შედგენის შემდგომი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის შემდგომ ისეთ მოვლენებს, რომლებიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს ადგილი არ ჰქონია.

23. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია კომპანიის დირექტორის მიერ 2022 წლის 1 თებერვალს.

საანგარიშო პერიოდის შემდგომ ისეთ მოვლენებს, რომლებიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს ადგილი არ ჰქონია.

23. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია კომპანიის დირექტორის მიერ 2022 წლის 1 თებერვალს.